



**დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 12 მარტი

**დისციპლინური საქმე №8/21  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2021 წლის 26 იანვარს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება:**

საჩივრის ავტორი მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებას ხდის სადავოდ.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სარჩელით მიმართა --- სასამართლოს --- მიმართ, რომლითაც მოითხოვა --- მუნიციპალიტეტში, სოფელ ---, მის სარგებლობაში არსებულ --- კვ.მ უძრავ ნივთზე, მოპასუხე მხარისათვის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დავალდებულება.

-- -- სასამართლოს --- 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სარჩელი, --- მიმართ, ქმედების განხორციელების დავალდებულების თაობაზე, მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

-- -- სასამართლოს --- მოსამართლე --- 2016 წლის 25 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სარჩელი --- მიმართ, ქმედების დავალდებულების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

**3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი იღებს, თუ მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია, რადგანაც დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება განუხორციელებელია. ხანდაზმულობის ვადას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინური სამართალწარმოებისათვის, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ საჩივარი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყოს ქმედების ჩადენიდან 3 წლის განმავლობაში.

ხანდაზმულობის ვადები დისციპლინურ სამართალწარმოებაში გამოიყენება მხოლოდ საჩივრის წარდგენასთან მიმართებით. საჩივრის წარდგენის შემდეგ თავად სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანო ხანდაზმულობის ვადით არ არის შეზღუდული, რადგან ხანდაზმულობის ვადის დენა საჩივრის წარდგენით წყდება.

ხანდაზმულობის ვადა რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება, კერძოდ, ის უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობას, იცავს პოტენციურ მოპასუხეებს დროულად განუცხადებელი საჩივრებისგან, რომელთა განხილვის შემთხვევაშიც რთული იქნებოდა სამართლიანობის დადგენა, ვინაიდან სასამართლოებს მოუწევდათ გადაწყვეტილების მიღება იმ მოვლენების ირგვლივ, რომელთაც შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი ... (Stubbings and Others v. the United Kingdom, § 51).

ხანდაზმულობის ვადის მიზანია თავიდან აიცილოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჩივრის დაგვიანებით წარდგენა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს კონკრეტული საქმის მოკვლევას და საქმის გარემოებების სრულყოფილ შესწავლას. ამასთან, ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ, ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). ორგანული კანონის ზემოაღნიშნული დებულება დამოუკიდებელ ინსპექტორს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივრის წარმოდგენამდე გასულია 3 წელი.

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი, სადავოდ ხდის მოსამართლე -- -- მიერ 2016 წლის 25 მარტის გადაწყვეტილების კანონიერებას, რომლის მიღებიდან გასულია 3 წელზე მეტი.

ამასთან აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შეფასება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>2</sup> მუხლით, იმავე კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

**გადაწყვიტა:**

-- -- 2021 წლის 26 იანვარს №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე --  
-- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**